უშედეგოდ

გუშინ, თბილისის დინამოელებმა „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გამართეს კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი ფეხბურთში. მათი მოწინააღმდეგე ამჯერად იყო ცსკა.

„დინამო“ თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: კვასხვაძე (ლეჟავა); ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა; ზეინკლიშვილი, იამანიძე; ვეკუა, მელაშვილი, კალოევი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი.

ამინდი ამჯერადაც არ უწყობდა ხელს საწვრთნელი მატჩის ნორმალურად ჩატარებას, მაგრამ ტალახიანი მინდვრის მხედველობაში მიღებითაც კი შეიძლება ითქვას, რომ როგორც თბილისელებმა, ისე მოსკოველებმა ვერ აჩვენეს ის თამაში, რომელსაც მაყურებელი მოელის მათგან ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

საერთო უპირატესობა უდავოდ დინამოელებს ჰქონდათ, რომლებსაც არაერთხელ შეეძლოთ მიეღწიათ შედეგისათვის, მაგრამ კარში დარტყმული ბურთები საგრძნობლად ცდებოდნენ მიზანს.

ამავე გუნდების დუბლიორთა მატჩი მოიგეს თბილისელებმა – 1:0.

22 აპრილი, 1962 წ.